



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 მაისი 2026



N 308/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთში ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს წყლის შესაკავებელი ნაგებობის (თევზსაშენი მეურნეობისთვის) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ - კოდექსი) საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს (ს/კ 530 01002315) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 15 დეკემბერს წარმოდგენილია (წერილი N12745) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთში დაგეგმილი საქმიანობის - წყლის შესაკავებელი ნაგებობის (თევზსაშენი მეურნეობისთვის) ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N795/ს 19/12/2025) და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება. ასევე, კოდექსის შესაბამისად, დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ელსკაუსის“ მიერ.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/3396), ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს მიერ 06/04/2026 წ. სააგენტოში წარმოდგენილი იქნა (წერილი: N4978) დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის SHP ფაილების დაზუსტებას და მიწის ნაკვეთის განახლებულ საკადასტრო კოდს, წყალაღება/წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატებს, თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობას, წყალქვეშა გამყოფი ბადის ტექნიკურ პარამეტრებსა და მათ დასამაგრებლად საყრდენი ბოძების მონტაჟს, საკვლევი მდინარის (მდ. რიონი) წყალმოვარდნასთან დაკავშირებულ რისკებს, მის ძირითად ჰიდროლოგიურ მახასიათებლებს, წყლის ბალანსის გაანგარიშებას და ტბორებიდან წყალჩაშვების რაოდენობას, მდ. რიონში თევზის ინვაზიური სახეობების გავრცელების რისკებსა და მათზე ბიოლოგიური მონიტორინგის სისტემის დანერგვას, თევზსაშენი ტბორიდან მდ. რიონში თევზის მოხვედრის პრევენციის მიზნით დამცავი მექანიზმის მონტაჟს, მის ტექნიკურ პარამეტრებს (ლითონის ბადის მოწყობა) და მათ ეფექტურობას. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N 231/ს, 07/04/26). დაზუსტებული დოკუმენტაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

კოდექსის შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს მიერ 20/12/2024 წ. სააგენტოში წარმოდგენილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთში 80 ტონა თევზის მოშენების მიზნით თევზსაშენი მეურნეობის მოწყობასა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N9 ბრძანება N 71/ს 14.02.2025).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს მიერ დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთის 35-ე ქუჩა N10-ში, სს “თიბისი ბანკის” 544 038 მ<sup>2</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.14.32.602) თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა და ექსპლუატაცია. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 310707, 48, Y - 4673637, 455.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შერჩევას განხილული იქნა ორი შესაძლო ალტერნატიული ვარიანტი. გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, საბოლოოდ შერჩეული იქნა არსებული ადგილმდებარეობა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთის 35-ე ქუჩა N10), როგორც ყველაზე ოპტიმალური ალტერნატივა. საქმიანობის ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვისას შერჩეული იქნა ტექნოლოგიური გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების ეკონომიურ გამოყენებას, ნარჩენების შემცირებასა და გარემოზე მინიმალურ ზემოქმედებას.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, თევზსაშენი ტბორის განთავსების ტერიტორია მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, 35-ე ქუჩა N10-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.14.32.002), რომლის ფართობი იყო 550 038 კვ.მ, თუმცა სააგენტოში წარმოდგენილი დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად, 2026 წლის 19 მარტს თევზსაშენი ტბორის განთავსების ტერიტორიას (ს/კ: 29.14.32.002) მოაკლდა 6000 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ფართობი (მასზე განთავსებულია ფერმა), ამასთან, აღნიშნულს თევზსაშენი ტბორის მოწყობის ტერიტორიაზე რაიმე ზემოქმედება არ მოუხდენია გარდა იმისა, რომ ტერიტორიას მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი: 29.14.32.602, (ფართობი 544 038 მ<sup>2</sup>). ამასთან აღსანიშნავია, რომ საქმიანობა დაგეგმილია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 29.14.32.602) ნაწილზე - 11.7 ჰა-ზე, რომელზეც მოეწყობა ტბორები (დიდი და პატარა ტბორის ჯამური, მაქსიმალური მოცულობა - 423 000 მ<sup>3</sup>). გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე განმცხადებლის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა (წერილი N5670, 21/04/2026) სს “თიბისი ბანკის” თანხმობა თევზსამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის (ს/კ: 29.14.32.602) იმ ნაწილზე (11.7 ჰა), რომელიც დატანილია გენგეგმაზე და თან ერთვის დოკუმენტს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ტბორები წარმოქმნილია წლების წინ. ტერიტორიაზე ხორციელდებოდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, რის საფუძველზეც წარმოიქმნა გამონამუშევარი ფართობები-ჩაღრმავებული ქვაბულები. ანგარიშის თანახმად, არსებული სხვადასხვა ზომის და ფორმის ქვაბულები ჯამში ქმნიან საერთო მოცულობის ორ ტბორს (დიდი და მცირე). საპროექტო ტერიტორიაზე პროექტის მიზნებისთვის გამოყენებული/მოწყობილი იქნება ორი ტბორი, 11.7 ჰა ფართობზე, საერთო მოცულობით - 423 000 მ<sup>3</sup>. დიდი ტბორის სიღრმეა 3მ, ფართობი - 9.3 ჰა, მოცულობა - 279 000 მ<sup>3</sup>. პატარა ტბორის სიღრმეა 6 მეტრი, ფართობი - 2.4 ჰა, მოცულობა - 144 000 მ<sup>3</sup>. ტბორებს შორის არსებული სივრცე გამოყენებული იქნება გასავლელ გზად. სატბორე მეურნეობაში დაგეგმილია წელიწადში 80 ტონა თევზის მოშენება, თევზის სახეობების - კობრის, თეთრი ამურის და ჩვეულებრივი სქელშუბლას გაზრდა და მათი რეალიზაცია.

ანგარიშის თანახმად, ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგება განხორციელდება სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” კუთვნილი ხაზის მეშვეობით, მანძილი ტბორსა და ელექტროგადამცემ ხაზს შორის არის 50 მეტრი. ამასთან გათვალისწინებულია ელექტრომომარაგების სარეზერვო სისტემა, ადგილზე განთავსებული იქნება 5-7 კვტ სიმძლავრის გენერატორი, ავტომატური ჩართვის რეჟიმით.

თევზსაშენი მეურნეობა იმუშავებს 24-საათიან რეჟიმში. ობიექტზე მუდმივად დასაქმებული იქნება 4 ადამიანი, ხოლო ჯამურად, ობიექტის ექსპლუატაციის სხვადასხვა ეტაპზე, დასაქმდება 10 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 11.7 ჰა ფართობზე ტბორების მოწყობა არ საჭიროებს მიწის საექსკავაციო სამუშაოების განხორციელებას, თუმცა დაგეგმილია ტექნიკურად განხორციელდეს წყალქვეშა ბადის გამოყენება. წყალქვეშა ბადე წარმოადგენს სპეციფიკურ მასალას - ქსელურ ქსოვილს, რომელიც შესაბამისი მოწყობილობების დახმარებით მყარად მაგრდება ფსკერზე. წყალქვეშა ბადის დახმარებით შესაძლებელი

იქნება წყლის მასების ვერტიკალური გაყოფა, წყლის სხვადასხვა დონეებით კონტროლი და მონიტაჟის დროს გათვალისწინებული იქნება ბადის ფორმა და ზომა. წყალქვეშა ბადის შემადგენელი კომპონენტებია: ბადის ტილო (მყარი მონოფილამენტი ან პოლიფილამენტი), ზედა და ქვედა თოკები (სამაგრის და წყალქვეშა წონების შესაერთებლად), მცურავები (პოლისტიროლი, EVA ან პლასტმასი), ქვედა მხარის დამამძიმებელი ტვირთები (ქვის ბლოკები, ტვირთებს შორის დისტანცია - 1-5 მეტრი), დამაკავშირებელი ელემენტები (კაუჩუბი, უჟანგავი ფოლადის სამაგრები, დამჭერი კვანძები). ბადის მონიტაჟის პროცედურა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ბადეების მოწყობა დაგეგმილია ტბორების გამყოფი კუნძულების გასწვრივ, სწორხაზოვნად. დიდი ტბორის გამყოფი ბადის სიგრძე იქნება 540 მ, ხოლო ბლოკების რაოდენობა - 108, პატარა ტბორის ბადის სიგრძეა 415 მ, ხოლო ბლოკების რაოდენობა - 83, ბლოკების რაოდენობა განისაზღვრება ბლოკებს შორის დაშორების მანძილით (1-5 მეტრამდე) და ჯამური რაოდენობა იქნება 191. ქვის ბლოკების დასაწყობებისთვის საჭირო იქნება 127,3 მ<sup>2</sup> ფართობი (უსაფრთხო დასაწყობებისთვის, დასაწყობების სიმაღლე - 1,5 მ.). ბლოკები დროებით, უსაფრთხოდ დასაწყობდება ტბორებს შორის არსებულ ტერიტორიაზე (1,5 ჰა), რომელიც გამოყენებულია ტბორებს შორის გასასვლელ შიდა გზად (ტერიტორიის GPS კოორდინატები: X-3100432; Y-4673820).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორია განთავსებულია მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სწორი ზედაპირისაა და ოდნავ დახრილია მდინარის კალაპოტის მიმართულებით. საპროექტო ტბორების მდინარე რიონთან დაცილების მანძილი შეადგენს დაახლოებით 80 მეტრს. მდინარის წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში რაიმე ინფრასტრუქტურის მოწყობა არ იგეგმება. ტბორისთვის საჭირო წყალაღება მოხდება სამელიორაციო არხიდან. ანგარიშს თან ახლავს შპს „საქართველოს მელიორაცია“-სთან შეთანხმების დოკუმენტაცია. წყალაღების კოორდინატებია: X-310203, Y-4673749, საიდანაც სპეციალურად მოწყობილი 7 მეტრი სიგრძის (d-700 მმ) მილსადენის საშუალებით მოხდება წყლის შედინება დიდ ტბორში. დიდ ტბორში შემოდინებული წყლის დებეტის სტაბილურობას უზრუნველყოფს წყალაღების ადგილზე მოწყობილი ვინტილი და მიკრო-ფარი. დიდი ტბორიდან წყალი პატარა ტბორში გადავა თვითდინებით, ტბორებს შორის მოწყობილი ღია გრუნტის არხით (პარამეტრები: 12მX1,2მX1მ), რომელიც ასევე აღჭურვილი იქნება სპეციალური მიკრო-ფარით და ვინტილით. წყალაღების ხარჯია 10 მ<sup>3</sup>/სთ-ში, ხოლო ჩამდინარე წყლის დანაკარგი გათვალისწინებულია 5%-იანი დანაკარგით (აორთქლება, ფილტრაცია). შესაბამისად, ჩამდინარე წყლის ხარჯი იქნება 9.5 მ<sup>3</sup>/სთ. წყალჩაშვება (მდ. რიონში) მოხდება პატარა ტბორიდან, 120 მეტრის სიგრძის (d-500 მმ) მილსადენის საშუალებით (წყალჩაშვების კოორდინატები: X-310833, Y-4673559). მილსადენზე დამაგრდება ლითონის ბადის შემაკავებელი, რათა არ მოხდეს ტბორიდან თევზის მდინარეში გადასვლა. ვინაიდან ტბორში ხდება წყლის მუდმივი ცირკულაცია და არ ხდება წყლის ავარიული გამწვანება, შესაბამისად, თევზის ტბორიდან მდ. რიონში მოხვედრა მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ტბორის გამწვანებ მილზე, ტბორის მიერთების ადგილზე მოწყობილი იქნება სპეციალური ლითონის ბადე (ბადის თვალის ზომა: 20-22 მმ). შესაბამისად, ამ მხრივ, ზემოქმედება იქტიოფაუნაზე შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი. ტბორის ფსკერი ტექნოგენური გრუნტია.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის ფონური მდგომარეობა და გარემო პირობების აღწერა. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

როგორც აღინიშნა, დაგეგმილია წელიწადში 80 ტონა თევზის მოშენება. თევზების კვება მოხდება ბუნებრივად. საჭიროების შემთხვევაში მოხდება სპეციალური საკვების დამატებაც. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებულია ტბორის წყლის ხარისხის კონტროლი და ლაბორატორიული ანალიზი შემდეგ საკონტროლო წერტილებში: წყალაღების წერტილი, ტბორის შუა ნაწილი, წყალჩაშვების წერტილი. ასევე გათვალისწინებულია მდინარე რიონის წყლის ხარისხის მონიტორინგი, წყალჩაშვებიდან 10 მ ზევით და 30 მ ქვევით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, თევზსაშენი ტბორების ექსპლუატაციის პროცესში სასმელი წყლის უზრუნველყოფა მოხდება ბუტილირებული წყლით. წლის განმავლობაში ერთ მომუშავეზე გამოსაყენებელი წყალი შეადგენს 91,25 მ<sup>3</sup>-ს წელიწადში. ჩამდინარე წყლების რაოდენობა - წელიწადში

86,68 მ<sup>3</sup>. ჩამდინარე წყლები შეგროვდება ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში და სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გაიწმინდება პერიოდულად.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. ვინაიდან თევზსაშენი ტბორები მდებარეობს მდ. რიონსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს შორის და ტერიტორია ხშირად ნიავედება. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი 460 მეტრითაა დაშორებული. შესაბამისად, თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის ეტაპზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ან მტვრის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სატბორე მეურნეობის ექსპლუატაციის ეტაპზე არასასიამოვნო სუნის გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, მაგ: წყლის დაბინძურებით, თევზის დაღუპვით და სხვა.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება. თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გამომწვევი წყარო იქნება მხოლოდ წყალჩაშვების წერტილი (ხმაურის დონე - 35 დბა), რაც მდ. რიონის ხმაურის დონეზე მცირეა. ასევე, ტექნიკის მოძრაობა ტერიტორიიდან თევზის გატანის და თევზის საკვების შემოტანისას. ტრანსპორტირების მიზნით გამოყენებული იქნება სატვირთო ავტომობილები, რომელთა ხმაურის დონე 60-70 დბა-ს შეადგენს. ხმაურის წყაროდან უახლოეს რეცეპტორამდე (უახლოესი საცხოვრებელი) მანძილი 460 მეტრია. შესაბამისად, ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაური დასაშვებ ნორმაზე ნაკლები (35 დბა) იქნება.

ანგარიშის თანახმად, ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკი არ არსებობს. ტბორი მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა პირველ ტერასაზე, ის ქმნის ვრცელ, გაშლილ სივრცეს, რომელიც გეომორფოლოგიური მკვეთრი ფორმებით არ ხასიათდება. ტერიტორიაზე არ იგეგმება მიწის სამუშაოების განხორციელება და ახალი შენობის აშენება. ჩატარებულია გეოლოგიურ-ჰიდროლოგიური კვლევები (ბურღვითი სამუშაოები, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ფილტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრა). ჩატარებული კვლევების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული თიხოვანი და თიხაქვიანი ქანები უზრუნველყოფს დაბალი ფილტრაციის უნარს და ტბორებისთვის ბუნებრივ ჰიდროიზოლაციას წარმოადგენს. ამგვარი გეოლოგიური პირობები ტბორებისთვის დამატებით ჰიდროიზოლაციურ ღონისძიებებს არ საჭიროებს.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია გრუნტისა და ზედაპირული წყლის ობიექტებზე საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება. ანგარიშში ასევე განხილულია მდ. რიონის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ტბორში ხდება წყლის ცირკულაცია, ამასთან, საპროექტო ტბორები შეასრულებს სალექარის როლს. შესაბამისად, ტბორში შემოსულ წყალში არსებული ნაწილაკები დაილექება და წყალი გაიწმინდება მყარი მინარევებისგან. ტბორი დაიცვება წელიწადში ერთხელ, თვითდინებით და ამღვრევა მოსალოდნელი არ არის. ტბორის თევზის საკვებად ძირითადად გამოყენებული იქნება ბუნებრივი საკვები, რაც ტბორის და შესაბამისად, მდ. რიონის დაბინძურების რისკს არ გამოიწვევს.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია წარმოიქმნას მხოლოდ არასახიფათო ნარჩენი. პროექტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის მოწყობა ან რაიმე ნაგებობის მშენებლობა. ტბორის ექსპლუატაციის პროცესში ძირითადად წარმოიქმნება არასახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენები (პერსონალის კვების ნარჩენები, შერეული მუნიციპალური ნარჩენები (არასახიფათო) - კოდი: 20 03 01). საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება სპეციალურ კონტეინერში და მისი გატანა მოხდება დაგროვების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

გზმ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური გარემოს შესახებ და დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების ანალიზს. ტბორების ტერიტორიაზე არ გვხვდება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ფლორის ან ფაუნის სახეობები.

საპროექტო ტერიტორია მაღალ ანთროპოგენულ დატვირთვას განიცდის, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდებოდა წიაღის მოპოვება, რის შედეგადაც გამოვლინდა გამონამუშევარი ფართობები. ტბორების მიმდებარედ რაიმე განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობის ხე-მცენარეები არ შეინიშნება. აღნიშნული ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტატუსს ატარებს. ტერიტორია სრულად ათვისებული და სახეცვლილია. მდ. რიონსა და მის შენაკადებში გვხვდება

თევზების 7-ზე მეტი ადგილობრივი სახეობა (გველანა, კალმახი, ტობი, ქაშაპი, ღორჯო, წვერა, ხრამული). ტბორის მოწყობისთვის საჭირო არ იქნება მდინარესთან უშუალო კონტაქტი. შესაბამისად, იქთიოფაუნაზე პირდაპირი ზემოქმედების რისკი არ არსებობს. ანგარიშის თანახმად, ხე-მცენარეების ჭრა არ იგეგმება.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის, რაც დასტურდება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილით, რომლის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედება განპირობებულია თევზის საკვები პროდუქციის შემოტანითა და გამოზრდილი თევზის რეალიზაციით, რისთვისაც ძირითადად გამოყენებული იქნება საავტომობილო ტრანსპორტი. საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი გადატვირთვა არ მოხდება, ვინაიდან აღნიშნულ გზებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიხშირე მაღალი არ არის. დაგეგმილია დღე-ღამეში 2 სატრანსპორტო ოპერაცია, თუმცა სატრანსპორტო ოპერაციების სიხშირე ბაზრის მოთხოვნებზე იქნება დამოკიდებული.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ტბორების ექსპლუატაციის პროცესში იგეგმება კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რითაც თავიდან იქნება აცილებული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები. მათგან აღსანიშნავია: წყლის გაწმენდის სისტემის დანერგვა, წყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების თავიდან ასაცილებლად ტბორის წყლის დონის მუდმივი კონტროლი, ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების რეგულარული გატანა და სხვა.

პროექტის ფარგლებში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე. თევზსაშენი მეურნეობის სიახლოვეს ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება, ხოლო თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები გამოიყენება სამოვრებად. პროექტის ფარგლებში არ იგეგმება რაიმე სახის სტაციონარული ობიექტის მშენებლობა. ასევე, მშენებლობა არ იგეგმება მიმდებარე ტერიტორიებზე. საპროექტო წყალაღების ობიექტიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით 200 მეტრის რადიუსში სხვა მსგავსი ობიექტი არ გამოვლენილა. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების რისკი წყლის ობიექტებზე არ დაფიქსირებულა. დოკუმენტში ასევე განხილულია საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება, როგორცაა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი, ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადის შესვლა და სხვა.

გზშ-ის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 6 თებერვალს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთის კულტურის სახლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია - შპს „ელსჰაუსის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. შეხვედრაზე დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან დასმული კითხვები შეეხებოდა საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს სარკინიგზო მაგისტრალისა და სამელიორაციო არხიდან ტბორისათვის წყლის მიწოდების საკითხებს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების შეზღუდვის რისკებს. აღნიშნულ საკითხებზე განმარტება გააკეთეს შპს „ელსჰაუსის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვის მსვლელობისას დასმული შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროს სხვადასხვა მიმართულების შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის საფუძველზე,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გეგუთში ი/მ „თორნიკე აშვეთიას“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის (თევზსაშენი მეურნეობისთვის) ექსპლუატაციაზე.

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

### **3. ი/მ „თორნიკე აშვეთია“ ვალდებულია:**

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის, დაზუსტებული დოკუმენტაციის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული ქმედებების და საკომპენსაციო ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) ობიექტის ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე ასახული იქნება მდ. რიონში უცხო (ინვაზიური) სახეობების გავრცელების მიზნით დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების, აგრეთვე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში წარმოებული დაკვირვების შედეგების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხები. მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ტბორში მოშენებული თევზის სახეობების (კობრი, თეთრი ამური და ჩვეულებრივი სქელშუბლა) მდ. რიონში მოხვედრის შესაძლო ფაქტების გამოვლენაზე და მათ პრევენციაზე;

გ) ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს დამცავი ბადეების ტექნიკური მდგომარეობის რეგულარული შემოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება და მონიტორინგის შედეგების სააგენტოსთან ანგარიშგება. აღნიშნული საკითხი ასევე აისახოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმაში;

დ) საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

ე) ობიექტის ექსპლუატაციის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ „თორნიკე აშვეთია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/308-21-4-202605081655>

